



**ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დადგენილება №13**

2012 წლის 9 მარტი

ქ. ქობულეთი

„ქონების (გარდა არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწისა) გადასახადის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 16 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 თებერვლის №50 დადგენილებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მუხლი 1.

„ქონების (გარდა არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწისა) გადასახადის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 16 დეკემბრის №22 დადგენილებაში (სსმ V ნაწილი, №68 27.12.2011 წ. მუხლი 2011) შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილებები:

მუხლი 2.

მუხლი 3 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3.

საქართველოს ან უცხოური საწარმოს, ორგანიზაციის ან/და ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ სასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ან კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში მყოფი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი (დიფერენცირებულია მიწის ხარისხის მიხედვით) განისაზღვროს წელიწადში ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით, ლარებში:

ა) სახნავისათვის (მათ შორის, მრავალწლიანი წარგავებით დაკავებული მიწა, საბადე, საბოსტნე) და საკარმიდამოსათვის - 87 ლარი;

ბ) სათიბებისათვის (ბუნებრივი და გაკულტურებული) - 20 ლარი;

გ) საძოვრებისათვის (ბუნებრივი და გაკულტურებული) - 16 ლარი;“

მუხლი 3.

ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე